№974 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება დუშეთის მუნიციპალიტეტს, სოფელ ოძისისა და სოფელ ბაქაქურების წყლის რეაბილიტაციის პროექტზე საპროექტო-კვლევითი სამუშაოების და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, 95 000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**